პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

22 ივნისი

ხუთშაბათი,

1961 წ.

№ 86 (1722)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გმირმა საბჭოთა ხალხმა განდევნა და სასიკვდილო დახვარი ჩასცა ვერაგ მტერს. ასე დაემართება ყველას, ვინც გაბედავს ჩვენი წმიდათა-წმიდა მიწა-წყლის ხელყოფას!

ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე

მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელიც თანამედროვე სპორტული მოძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს იხილავს. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დელეგაციამ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი წინადადებები წამოაყენა განსახილველად. ასე მაგალითად, ჩვენი დელეგატების აზრით ოლიმპიურ კომიტეტში ადგილები უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს (თუნდაც მათ პრეზიდენტებს) და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს. სავსებით სამართლიანი და კანონიერი მოთხოვნაა!

საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებას ბევრი თანამოაზრე გამოუჩნდა, მაგრამ ოლიმპიურმა კომიტეტმა უარჰყო ეს წინადადება. უარი ეთქვა აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების გადაწყვეტილებას, გაუწიონ ფინანსური დახმარება სუსტად განვითარებულ ქვეყნებს აფრიკასა და აზიაში.

შემდეგ, ოლიმპიური კომიტეტის სესია გადავიდა საორგანიზაციო საკითხების განხილვაზე. მან კომიტეტის 98-ე წევრად მიიღო კამბოჯის სახელმწიფო, მაგრამ ამავე დროს წევრობაზე უარი უთხრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, საუდის არაბეთს და გიბრალტარს. სესიამ უარჰყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა: ეცნოთ ეს ქვეყანა, როგორც ოლიმპიური კომიტეტის მუდმივი წარმომადგენელი (ნაცვლად დროებითი წარმომადგენლობისა).

სესიაზე მთელი რიგი კონკრეტული წინადადებებით გამოვიდა ოლიმპიური თამაშების სამშობლო — საბერძნეთი. იგი ამავე დროს გამოხატავდა პატარა ქვეყნების ინტერესებს, რომლებსაც უჭირთ ოლიმპიურ თამაშებში მთლიანი პროგრამით მონაწილეობა. მაგრამ აღნიშნული დელეგაციები პროგრამის შემცირებას არ მოითხოვდნენ. მათი აზრით მიზანშეწონილი იქნებოდა სპორტის სახეობების დაყოფა აუცილებელ და ნებისმიერ სახეობებად სავალდებულო სახეობებში მონაწილეობას მიიღებდნენ ოლიმპიადაში მონაწილე ყველა ქვეყანა, ხოლო არასავალდებულოში — ისინი, ვისაც ამის საშუალება აქვთ. ოლიმპიურმა კომიტეტებმა ეს წინადადებაც უარყო.

შემდეგ განხილული იქნა ოლიმპიადის პრიზიორების საკითხი. ვინაიდან საერთო გუნდურ ჩათვლაში შედიან 4-6 ადგილებზე გამოსული სპორტსმენებიც, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაადგინა, სპატიო პიედისტალი პირველი ექვსი ადგილისათვის და მათი დაჯილდოვება.

როგორც ცნობილია, უკვე კარგახანს მიმდინარეობს დავა მომავალი ოლიმპიური თამაშების ჩატარების თარიღებზე. იაპონია, რომელმაც უკვე მოიპოვა თამაშების მოწყობის უფლება, დაჟინებით მოითხოვდა თამაშების ჩატარებას მაისში. იგი თავის წინადადებას ასეთ მოტივირებას აძლევდა: იაპონიაში იცის ხშირი წვიმები და მაისი ამ მხრივ სხვა თვეებზე უკეთესი დროა. მაგრამ წინადადება ვერ გავიდა. მთელი რიგი ქვეყნები წინააღმდეგი წავიდნენ იმის გამო, რომ მაისში სპორტსმენები არ იქნებიან კარგ სპორტულ ფორმაში.

ბოლოსდაბოლოს გადაწყდა XVIII ოლიმპიური თამაშების მოწყობა ტოკიოში, 1964 წლის 11-25 ოქტომბერს. დადგინდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების თარიღიც. იგი ჩატარდება 1964 წელს ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში 29 იანვრიდან — 9 თებერვლამდე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიას ესწრება უამრავი ჟურნალისტი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა და მდივანმა — კანცლერმა ო. მაიერმა მათთვის მოაწყვეს სპეციალური პრესკონფერენცია, რომელზედაც პასუხები გასცეს მთელ რიგ შეკითხვებს. ჟურნალისტების აზრით სესიის მუშაობა არ მიმდინარეობს დემოკრატიული პრინციპებით. სამწუხაროდ, აქაც აქვს ადგილი სხვადასხვა სახის ბლოკებს — დაჯგუფებებს, ათენის ერთ-ერთი გაზეთი აღნიშნავს, რომ ოლიმპიური კომიტეტი გაცილებით მეტს მოიგებდა, მხარი რომ დაეჭირა ხალხის სამართლიანი ხმისათვის.



ამას წინათ თბილისში ჩატარდა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში „განთიადის“ ბავშვთა სპორტული სკოლების აღსაზრდელთა პირველობაზე. წარმატება მოიპოვა მე-15 საშუალო სკოლის პირველკლასელმა ი. მდივანმა, რომელმაც თანატოლთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

სურათზე: ი. მდივანი (მარცხნიდან მეორე) თავის პირველ სპორტულ ჯილდოს უჩვენებს ამხანაგებს.

ფოტო ი. იუნაევისა

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

ნორვეგია

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში დამთავრდა მსოფლიო პირველობა სასტენდო სროლაში. „მრგვალ სტენდზე“ პირველ დღეს მიღებული 4 სერიიდან კ. პლაზამ (ვენესუელა) ყველა 100 სამიზნე გატეხა, ხოლო მეორე დღეს — ერთით ნაკლები და 199 ქულით მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. მეორე ადგილზეა კანადელი ბ. პარტმენი, ერთნაირი შედეგებით (197 სამიზნე) მომდევნო ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა მესტენდურები ა. კალუნი, ი. პკურანოვი და ნ. დურნევი.

აქვე დამთავრდა შეჯიბრება „გაქცეულ ირემზე“ სროლაში, ორმაგი გასროლების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელმაც 861 ქულა მოაგროვა და 28 ქულით გასწრო აშშ-ს გუნდს. პირად ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ამერიკელმა ი. ფოსტერმა, რომელმაც 222 ქულა დააგროვა. მას 3 ქულით ჩამორჩნენ საბჭოთა სპორტსმენები ვ. ლინიკოვი და ლ. ლუსტბერგი.

გერ

დღეს ბერლინში დაიწყება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და რსფსრ-ს მძლეოსანთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. მასში მონაწილეობისათვის ბერლინში უკვე ჩავიდა საბჭოთა გუნდი, რომლის შემადგენლობაშია მსოფლიოს სამი რეკორდსმენი ვ. ბრუმელი, დები ი. და თ. პრესები და რსფსრ-ს სხვა საუკეთესო სპორტსმენები.

პოლონეთი

პოლონელი სტაიერის ი. კუსოჩინსკის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში თავი ისახელეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ა. ვაუშასმა ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 7 მ 54 სმ, ხოლო ვ. მასლოვსკაიამ ყველას აჯობა 100 მ რბენაში — 11,7.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ძირითადი სახეობა — 3000 მ რბენა, სადაც გათამაშდა პრიზი. აქ თავი მოიყარეს განთქმულმა სტაიერებმა: გერმანელებმა ჰ. ბედუმ, ჰ. გროდოცკიმ, პოლონელმა კ. ზიმნიმ, ინგლისელმა გ. პირიმ, ჰ. ფლოსბახმა (გფრ), ვ. სამოილოვმა (სსრ კავშირი) და სხვ. გაიმარჯვა კ. ზიმნიმ — 7.54,6 წ. მას 2,2 წამით ჩამორჩა ვ. სამოილოვი, რომელმაც 3,8 წამით გაუმჯობესა ჰ. ბოლოტნიკოვის საკავშირო რეკორდი. მეორე ადგილი მოიპოვა ჰ. გროდოცკიმ — 7.55,2.

ლიდერები შეიცვალნენ

ხუთჯიდელთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე დღეს ლიდერთა ცვლა გამოიწვია სილუეტებზე პისტოლეტით სროლამ. ყველაზე კარგი შედეგი — 196 ქულა, ჰქონდა არმიელ ა. საფრონოვს, მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა თანაგუნდელმა ფეტისოვმა (195 ქულა) ვერ შეძლეს დასწეოდნენ ლიდერს — სპორტის დამსახურებულ ოსტატ ი. ნოვიკოვს.

მაგრამ ლიდერის პოზიცია შეარყია ლენინგრადელმა ა. ტარასოვმა, რომელმაც 200 შესაძლებლიდან 193 ქულა დააგროვა და სამი დღის შეჯიბრების შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

უიმბლდონის ჯურნირის წინ

ახლოდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრების — უიმბლდონის ტურნირის გახსნის დღე. მანამდე კი სხვადასხვა ქვეყნების სპორტსმენები მონაწილეობენ შერჩევით პირველობებში. ერთი ასეთი ტურნირი უკვე დამთავრდა, მეორე კი, ამ რამდენიმე დღის წინ დაიწყო. იგი „კუინს კლუბის“ ტურნირის სახელს ატარებს.

ამ შეჯიბრებაშიც წარმატებით აიღო სტარტი ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელმა ნ. ძძიხარიშვილმა. მან დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი იავორსკი — 6:1, 6:4. მესამე პარტიაში, როდესაც ანგარიში იყო 5:4 ძძიხარიშვილის სასარგებლოდ, ჩეხოსლოვაკელმა სპორტსმენმა უარი თქვა შეჯიბრების გაგრძელებაზე. სამაგიეროდ მეორე ჩეხმა ჩოგბურთელმა ვარეკამ დაამარცხა ს. ლიხაჩოვი (სსრკ).

შეჯიბრება გრძელდება.

რუმინეთ-საქართველოს საჭადრაკო მატჩის პარტიებიდან

ე. პოლიქრონიადე-ნ. გაფრინდაშვილი

ბუქარესტის რადიოს მიმომხილველი ე. პოლიქრონიადე რუმინეთის ცნობილი მოჭადრაკეა. მას მონაწილეობა მიუღია მრავალ საერთაშორისო ტურნირში, 1960 წლის დამლევს მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში წარმატებით მოიპოვა პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება და საერთაშორისო ოსტატის წოდება.

ნ. გაფრინდაშვილი თავის მეტოქეს ბუქარესტში სამჯერ შეხვდა და მოუგო მატჩი ანგარიშით 2:1. 1960 წელს ნ. გაფრინდაშვილმა პოლიქრონიადეს მოუგო პარტია თბილისის ქალთა პირველ საერთაშორისო ტურნირზეც.

პარტიაში ქართველი ოსტატი უნარიანად ართულებს თამაშს და კარგად იყენებს მის შეცდომებს.

ძველინდური დაცვა

1. e4 g6 2. d4 ⚘g7 3. ♘c3 d6 4. ⚘e2 ♘bd7 5 h4 c5 6. ⚘e3 ♗b6 7. ♘d5 ♗a5+ 8. ⚘d2 ♗d8 9. ⚘c3 cd 10. ⚘:d4 ♘gf6 11. ♘:f6+ ♘:f6 12. e5 de 13. ⚘:e5 0—0 14. ♘h3 ⚘f5 15. c3 ♗a5 16. ⚘d4 ♕ad8 17. b4 ♗c7 18. ♗b3 b6 19. ♘g5 e5 20. ⚘e3 h6 21. ♘f3 ♘d5 22. ⚘d2 e4 23. ♘d4 e3 24. ⚘:e3 ♘:e3 25. fe ♗g3+ 26. ♘gf1 ⚘:d4 27. cd ⚘e4 28. ⚘f3 ⚘:f3 29. gf ♗:f3+ 30. ♘g1 ♕fe8 31. ♕h2 ♕:e3 32. ♗c4 ♗g3+ 33. ♘gh1 ♕e1+ 34. ♕:e1 ♗:e1+ 35. ♘g2 ♗e4+ 36. ♘g3 ♕:d4 37. ♗c8+ ♘gh7 38. ♕f2 ♕d3+ 39. ♘gh2 ♗:h4+.

თეთრები დანებდნენ

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1961-1964 წლებისათვის

★ ★ ★ ★

27 ივნისს

სპორტის სასახლეში შედგება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს

IX პლენუმი

დღის წესრიგშია

1. რესპუბლიკის სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის პოლიტ-ალმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

დასაწყისი 12 ს.

მოფარიკავის ხსოვნის თასზე

მოსკოველმა მოფარიკავე ქალმა ა. ზაბელინამ რამდენიმე დღის წინ იტალიიდან ჩამოიტანა საუცხოო ნადავლი — ნატურალური სიდიდის ვერცხლის რაპირა, რომელიც მან უძლიერეს მოფარიკავე ქალთა ტურნირში მოიპოვა.

საბჭოთა მოფარიკავის გამარჯვებით გამოწვეული შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ არ გამქრალიყო იტალიელ მაყურებლებში, რომ ბოლონიაში გამართულ რაპირისტ ვაჟთა ტურნირში, რომელშიც საფრანგეთის, გფრ-ს, გდრ-ს, იტალიისა და საბჭოთა კავშირის 36 უძლიერესი მოფარიკავე მონაწილეობდა, გამარჯვებული კვლავ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი — მ. მიდლერი გამოვიდა.

ფინალურ ბრძოლაში მიდლერმა დაამარცხა იტალიელი გრანიერი და მოიპოვა ცნობილი იტალიელი მოფარიკავის — ლუიჯი ჯოვანინის ხსოვნის თასი. აღსანიშნავია, რომ გუნდურ პირველობაც საბჭოთა მოფარიკავეებმა მოიპოვეს.

ტურნირი სოფიაში

გუშინ სოფიაში ჩატარდა კალათბურთელთა „საერთაშორისო ტურნირის მე-3 ტური, თბილისის „დინამო" შეხვდა ჩინეთის გუნდს.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით დაიწყეს თამაში: ლეკვა, მინაშვილი, კილაძე, უგრეხელიძე და ალტაბაევი. თამაშიდან 1 წუთზე მეტი იყო გასული, როდ თბილისელებს მიჰყავდათ ანგარიში — 12:0, ჩინელები არ მოელოდნენ ასეთ გამანადგურებელ შტურმს და მიმართეს პრესინგს. მაგრამ უკვე გვიან იყო. ანგარიში შეუნელებლად იზრდებოდა.

მატჩი დამთავრდა „დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 83:74, ამრიგად, ამ ტურნირის გამარჯვებულის სახელის ერთერთი მთავარი პრეტენდენტი დამარცხებულია.

სსრ კავშირის თასზე

გუშინ ვლადივოსტოკში შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების 1/32 ფინალი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო" და ადგილობრივი „ლუჩი". გაიმარჯვა პირველმა — 2:1.

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 86 (1722)

ალპინიზმი

სათანრიგო მოთხოვნები ვაჟები და ქალები

სათანრიგო მოთხოვნების შესრულების პირობები

სპორტის ოსტატი. 1. შეასრულოს 5-ა კატეგორიის სიძნელის ასვლა 5000 მეტრზე მეტი სიმაღლის მწვერვალზე ან 4-ბ კატეგორიის სიძნელის ასვლა 6000 მეტრზე მეტი სიმაღლის მწვერვალზე.

2. ქონდეს ალპინიზმის ინსტრუქტორის წოდება და 5-ა კატეგორიის სიძნელის ასვლის დროს უხელმძღვანელოს (ვაკმა) ჯგუფს, რომლის წევრები პირველად მონაწილეობენ მსგავსი კატეგორიის სიძნელის ასვლაში.

პირველი თანრიგი. 1. ზამთრის პირობებში შეასრულოს 2-ბ კატეგორიის სიძნელის ასვლა (ვაკეები), 1-ბ კატეგორიის სიძნელის ასვლა (ქალები).

2. მეხუთე კატეგორიის სიძნელის პირველი მარშრუტის გადალახვისათვის ჩაბარეს ტექნიკური მომზადების ჩასათვლელი ნორმატივი შესაბამისი წესების მიხედვით.

მეორე თანრიგი. 1. ყველა ასვლათა 50 პროცენტი შესრულებული უნდა იყოს კომბინირებული მარშრუტების გავლით.

2. მეოთხე კატეგორიის სიძნელის პირველი მარშრუტის გადალახვისათვის ჩაბარეს ტექნიკური მომზადების ჩასათვლელი ნორმატივი შესაბამისი წესების მიხედვით.

მესამე თანრიგი. 1. ქონდეს „საბჭოთა კავშირის ალპინისტის" ნიშანი. 2. ჩათვალოს მესამე სპორტული თანრიგის პროგრამით მომზადების ნორმატივი.

თანრიგის დახასიათებლად — სამი წლის განმავლობაში მოახდინოს ორი ნახევარი კატეგორიით ნაკლები სიძნელის მარშრუტის ერთხელ გავლა, ვიდრე უმაღლესი კატეგორიისა მოცემულ თანრიგში.

სათანრიგო მოთხოვნები ვაჟები და ქალები

თანრიგი	მოახდინოს ასვლები შემდეგი კატეგორიის სიძნელის მწვერვალებზე									
	1-ბ	2-ა	2-ბ	3-ა	3-ბ	4-ა	4-ბ	5-ა	5-ბ	სულ
სპორტის ოსტატი	2	2	3	3	3	3	3	3	3	25
I	2	2	3	3	3	3	3	2	—	22
II	2	2	3	3	3	3	2	1	—	19
III	2	2	3	3	2	1	—	—	—	13
	2	2	1	—	—	—	—	—	—	5

აკრობატიკა

სათანრიგო მოთხოვნები ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების მრავალჭიდში დააგროვოს 72 ქულა 80 შესაძლებლიდან საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთხელ ან სპორტსაზოგადოებისა და უწყებების ცენტრალური საბჭოების პირველობებზე, რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების (ასსრ) ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრებზე, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა პირველობებზე ორჯერ.

პირველი თანრიგი — სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების მრავალჭიდში დააგროვოს 68 ქულა 80 შესაძლებლიდან ოფიციალურ შეჯიბრებებზე არა ნაკლებ საქალაქო მასშტაბისა.

მეორე თანრიგი — სავალდებულო ვარჯიშების ექვსჭიდში დააგროვოს 48 ქულა 60 შესაძლებლიდან ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე.

მესამე თანრიგი — სავალდებულო ვარჯიშების ექვსჭიდში დააგროვოს 45 ქულა 60 შესაძლებლიდან ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე.

ჭაბუკთა პირველი თანრიგი — ექვსჭიდში დააგროვოს 48 ქულა 60 შესაძლებლიდან ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე.

ჭაბუკთა მეორე თანრიგი — ექვსჭიდში დააგროვოს 45 ქულა 60 შესაძლებლიდან ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაზე.

თანრიგის დახასიათებლად — დააგროვოს ამ თანრიგისთვის საჭირო ქულათა ჯამი.

სპორტსმენებს, რომლებიც გამოდიან უფროსი თანრიგის პროგრამით და აგროვებენ ქულათა საჭირო ჯამს, რომელიც შეესაბამება მათი თანრიგის მოთხოვნას, ეთვლებათ თანრიგის დაჯილდოება.

●

სათანრიგო ნორმების შესრულების მოთხოვნები

1. სათანრიგო მოთხოვნები წყვილთა ან ჯგუფურ ვარჯიშებში ჩათვლება მოცემული წყვილის ან ოთხეულის (სამეულის) ყველა მონაწილის მიერ აღნიშნული თანრიგის ნორმატივის შესრულების დროს.

2. საჭირო ქულათა ჯამი სათანრიგო ნორმატივების შესასრულებლად განისაზღვრება თვითეულ მონაწილის ინდივიდუალურ შედეგებათა მიხედვით.

3. სპორტის ოსტატის მინიჭებისათვის წარდგენილ მასალებს აუცილებლად უნდა ერთვოდეს მისი პარტნიორის (ერთობლივ ვარჯიშებში) მიერ ოსტატის ნორმატივის შესრულების ცნობა.

შენიშვნა: უფროსი თანრიგი ენიჭებათ უახლოესი უმცროსი თანრიგის მქონე სპორტსმენებს.

4. სპორტსმენებს შეიძლება მიენიჭოთ თანრიგი თუ ისინი აღნიშნულ წელს მონაწილეობდნენ არა ნაკლებ შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში: ჭაბუკთა თანრიგი — 3-ჯერ, III და II თანრიგი — 3-ჯერ, I თანრიგი — 4-ჯერ, სპორტის ოსტატი — 5-ჯერ.

5. გოგონებსა და ჭაბუკებს შეუძლიათ შეჯიბრებაში მონაწილეობა მათთვის დადგენილი საკლასიფიკაციო პროგრამის მიხედვით:

13-14 წელი — ჭაბუკთა მეორე თანრიგის პროგრამით.

14-15 წელი — ჭაბუკთა პირველი თანრიგის პროგრამით.

16-17 წელი — მოზრდილთა პირველი და მეორე თანრიგის პროგრამით.

17-18 წელი — სპორტის ოსტატის პროგრამით.

კალათბურთი

სათანრიგო მოთხოვნები ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — მონაწილეობდეს გუნდში, რომელიც საკავშირო პირველობის გათამაშებაზე „ა" კლასის გუნდებს შორის ან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე დაიკავებს პირველ-მეექვსე ადგილს

ან

მონაწილეობდეს გუნდში, რომელიც იმავე შეჯიბრებებზე დაიკავებს 7-10-ე ადგილს სამი წლის განმავლობაში.

ან

მონაწილეობდეს გუნდში, რომელიც უწყებათა სპარტაკიადებზე, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობებზე და რესპუბლიკურ პირველობებზე დაიკავებს პირველ, მეორე, მესამე ადგილს იმ პირობით თუ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა შესაბამისად „ა" კლასის ერთი, ორი ან სამი გუნდი, რომლებმაც წინა საკავშირო პირველობაზე დაიკავეს არა უშორეს მეექვსე ადგილისა.

ან

მონაწილეობდეს გუნდში, რომელიც წლის განმავლობაში არა ნაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე ოფიციალურ შეხვედრებში მიაღწევს ოთხ გამარჯვებას „ა" კლასის სხვადასხვა გუნდებზე, რომლებმაც საკავშირო პირველობის გათამაშებაზე დაიკავეს შემდეგი ადგილები: 1961 წ. — 1-12-ე.

1962 წ. — 1-14-ე.

1963 წ. — 1-18-ე.

იმ პირობით თუ ეს. გუნდები წარდგენილი იყვნენ მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის გათამაშებაზე და აგრეთვე სხვა ნაკრებ გუნდებზე, რომელთა შემადგენლობის ორი მესამედი მოქმედი სპორტის ოსტატებითაა დაკომპლექტებული.

ან

შედიოდეს საბჭოთა კავშირის 25 უძლიერეს მოთამაშეთა სიაში, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს კალათბურთის საკავშირო ფედერაცია.

პირველი თანრიგი — მონაწილეობდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებზე „ა" კლასისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში

ან

მონაწილეობდეს „ბ" კლასის გუნდში, რომელიც ზონალურ შეჯიბრებებზე დაიკავებს პირველ-მესამე ადგილს

ან

მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც წლის განმავლობაში მიაღწევს არა ნაკლებ ოთხ გამარჯვებას პირველი თანრიგის სხვადასხვა გუნდზე, ან ერთ გამარჯვებას პირველი თანრიგის გუნდზე და შვიდ გამარჯვებას მეორე თანრიგის სხვადასხვა გუნდზე იმ პირობით, თუ წლის განმავლობაში ჩატარებს არა უმცირეს 16 ოფიციალურ შეხვედრას საქალაქო და უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებზე

ან

შედიოდეს მოკავშირე რესპუბლიკის 15 უძლიერესი მოთამაშის სიაში, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის კალათბურთის ფედერაციები

ან

მონაწილეობდეს გუნდში, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაზე.

მეორე თანრიგი — მონაწილეობდეს გუნდში, რომელსაც წლის განმავლობაში აქვს არანაკლებ ოთხი გამარჯვებისა მეორე თანრიგის გუნდებზე ან რვა გამარჯვებისა — მესამე თანრიგის სხვადასხვა გუნდზე. იმ პირობით თუ წლის განმავლობაში მონაწილეობდა 14 ოფიციალურ შეხვედრაში. მათ შორის ფიზკულტურის კოლექტივებში ჩატარებულ შეჯიბრებებში

ან

მონაწილეობდეს გუნდში, რომელიც დაიკავებს პირველ ადგილს ჭაბუკთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე.

მესამე თანრიგი — მონაწილეობდეს გუნდში, რომელსაც წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს არანაკლებ 10 ოფიციალური შეხვედრისა ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებებზე და წლის განმავლობაში მოპოვებული აქვს არა ნაკლები 5 გამარჯვებისა ნებისმიერი კვალიფიკაციის გუნდზე (მათ შორის ახალგაზრდათა გუნდზეც)

ან

მოთამაშეებს, რომლებიც წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ არა ნაკლებ 15 ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში.

ჭაბუკთა პირველი თანრიგი — მონაწილეობდეს გუნდში, რომელიც თამაშობს ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაზე ან იმ გუნდში, რომელიც დაიკავებს მეორე, მესამე ადგილს მოკავშირე რესპუბლიკათა პირველობებზე

ან

მონაწილეობდეს საშუალო ან უფროსი ასაკის გუნდში, რომელიც ნებისმიერი მასშტაბის არა ნაკლებ 12 ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს და წლის განმავლობაში მიაღწევს არა ნაკლებ სამი გამარჯვებისა ჭაბუკთა პირველი თანრიგის გუნდებზე ან არა ნაკლებ 6 გამარჯვებისა ჭაბუკთა მეორე თანრიგის გუნდებზე.

ჭაბუკთა მეორე თანრიგი — მონაწილეობდეს საშუალო და უფროსი ასაკის გუნდში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 10 ოფიციალურ შეხვედრაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებებზე და წლის განმავლობაში მო-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1961-1964 წლებისათვის

(დასასრული)

პოვებს არა ნაკლებ სამი გამარჯვებისა ჭაბუკთა მეორე თანრიგის გუნდებზე, ან არა ნაკლებ 6 გამარჯვებისა ახალგაზრდათა გუნდებზე.

ან

მოთამაშეებს, რომლებსაც წლის განმავლობაში ჩატარებული აქვთ არა ნაკლები 15 შეხვედრისა ნებისმიერი მასშტაბის სხვადასხვა ოფიციალურ შეჯიბრებაში,

ჭაბუკთა II თანრიგისა და მოზრდილთა III თანრიგის ნორმატივების შესრულება ჩაითვლება აგრეთვე გამარტივებული წესებით ჩატარებული შეჯიბრების დროს:

1. მორიგი თანრიგები ენიჭებათ უახლოესი უმცირესი თანრიგის მქონე სპორტსმენებს.

2. თანრიგი ენიჭებათ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებიც შეასრულებენ შესაბამისი თანრიგით გათვალისწინებულ ტექნიკურ ნორმატივებს კალათბურთში (ტექნიკური ნორმატივები სრულდება ოფიციალურად დანიშნული მსაჯის დასწრების დროს).

შენიშვნა: 1. მოთამაშეს ჩატარებული თამაში ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი მონაწილეობდა მასში წესებით განსაზღვრული დროის 25 პროცენტში.

2. სათანრიგო ნორმატივების შესრულება ყველა თანრიგში ეთვლებათ იმ გუნდის მონაწილეებს, რომლებსაც ჩატარებული აქვთ კალენდარული გეგმით გათვალისწინებული შეჯიბრებების არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

●

გუნდების დაყოფა თანრიგების მიხედვით

მოზრდილთა გუნდები იყოფა ოსტატთა, I, II, III თანრიგისა და ახალგაზრდათა გუნდებათ.

ჭაბუკთა გუნდები იყოფა ჭაბუკთა პირველი, მეორე თანრიგისა და ახალგაზრდა გუნდებათ.

გუნდების თანრიგოსნობა ირკვევა მისი კონკრეტული შემადგენლობის შესაბამისად და განისაზღვრება მოცემული გუნდის მოთამაშეთა 65-70 პროცენტის (2/3) თანრიგოსნობით.

გუნდის თანრიგოსნობის განსაზღვრავთ მხედველობაში მიიღებიან აღნიშნულ თამაშში ფაქტიურად მონაწილე სპორტსმენები, ასე მაგალითად, თუ კალათბურთელთა გუნდიდან თამაშში მონაწილეობდა 10 კაცი და მათგან 7 მეორეთანრიგოსანი იყო, ამ გუნდზე გამარჯვება მოწინააღმდეგეს ეთვლება მეორე თანრიგის გუნდზე გამარჯვებად.

იმ შემთხვევაში თუ გუნდი შედგება სამი ან უფრო მეტი სხვადასხვა თანრიგის მქონე სპორტსმენებისაგან და არცერთი მათგანი არ შეადგენს გუნდის 2/3-ს, მაშინ გუნდის თანრიგოსნობა განისაზღვრება შემდეგნაირად: თუ უფროსი და უმცროსი თანრიგის მქონე მოთამაშეთა რაოდენობა გუნდის შემადგენლობის 40 პროცენტზე ნაკლები არ არის, თანრიგოსნობა განისაზღვრება საშუალო თანრიგით, ასე მაგალითად, თუ გუნდიდან თამაშში მონაწილეობს 9 კაცი და მათგან ორი მოთამაშე პირველი თანრიგისაა, ორი — მეორე თანრიგისა და 5 — მესამე თანრიგისა, გუნდი ითვლება მეორეთანრიგოსნად, მოთამაშეთა თანრიგოსნობა და გუნდის კატეგორია თამაშის ჩამტარებელ მსაჯს შეაქვს ოქმში მოთამაშეთა საკლასიფიკაციო ბილეთების გასინჯვის შედეგად. უფროსი თანრიგის გუნდზე გამარჯვება ითვლება როგორც თავისი თანრიგის მქონე ორ გუნდზე გამარჯვება, ხოლო ორი ფრე, როგორც ერთი გამარჯვება.

თანრიგის დასამტკიცებლად — დააგროვოს გამარჯვებათა 50 პროცენტი და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი თანრიგის მისაღებად

ნორმატივები თამაშის ტექნიკაში

ტყორცნები და მოხვედრა	თანრიგი					
	სპორტის ოსტატი	I	II	III	I მოზარდთა	II მოზარდთა
საჯარიმო ტყორცნები						
ტყორცნების რაოდენობა	30	30	30	30	30	30
მოხვედრათა რაოდენობა	28	26	21	18	21	18
ტყორცნები შორი დისტანციიდან						
ტყორცნების რაოდენობა	30	30	30	30	30	30
მოხვედრათა რაოდენობა	25	21	16	12	16	12

დადგენილ შეხვედრათა 50 პროცენტში.

●

ბურთის გადაცემა და დაჭერა

(მოზრდილთა მესამე და ჭაბუკთა თანრიგებისათვის)

ვარჯიში. პირისახით კედლისკენ მდგომარე ორი მეტრის მანძილიდან კედელზე დახაზულ 30 სმ რადიუსის მქონე წრეს მოახვედროს მკერდიდან ორი ხელით ნატყორცნი ბურთი და დაიჭიროს იგი უკან არეკვნისას.

ნორმატივი. 30 წამის განმავლობაში შესრულდეს არა ნაკლებ 22 გადაცემისა. ამასთან წრის ირგვლივ ბურთი არ ჩაითვლება ვარჯიში არ ჩაითვლება თუ ბურთი შეეხება იატაკს.

ბურთის ტარება კალათში ტყორცნით

ვარჯიში. ბურთის ტარება პირით ბაზიდან საჯარიმო მოედნის სფეროს ბაზზე კალათში გდებამდე (მოხვედრამდე) ერთხელ მარჯვნიდან — მარჯვენა ხელით, შეორედ — მარცხნიდან — მარცხენა ხელით.

ნორმატივი. 16 წამი თვითეული ვარჯიშისათვის.

შენიშვნა: 1. დისტანცია შორი მანძილიდან ტყორცნისათვის — 6,5 მ, საშუალო მანძილიდან — 4,0 მ.

მანძილი იზომება ფარზე რგოლის მიმაგრების პროექციის ადგილიდან.

2. ნორმატივის შესრულების დროს მოთამაშის ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წესების დარღვევის დროს ნორმატივი არ ჩაითვლება.

3. ტყორცნები საშუალო და გრძელი მანძილიდან სრულდება ნებისმიერი წესით მოთამაშის სურვილისამებრ.



მიმდინარეობს მთაწყავლეთა სპარტაკიადა



ცურვა

საინტერესოდ ჩატარდა 100 მეტრზე ზურგით ცურვის ფინალური შეჯიბრება ჭაბუკებისათვის, აფხაზეთის წარმომადგენელმა რ. აფაჩიძემ და თბილისელმა ბ. ლეკვაძემ ერთდროულად დაასრულეს დისტანცია — 1.13,5. მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვება სოხუმელს მიაკუთვნა.

40 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონათა შორის სტარტიდანვე დაწინაურდა საქართველოს რეკორდსმენი — ი. ამნიაშვილი, რომელმაც შემდგომში კიდევ უფრო გაზარდა მანძილი და ფინიშთან პირველი იყო — 6.21,0, მეორე ადგილზეა ლ. ბერძენიშვილი (ორივე თბილისიდან).

400 და 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ორჯერ იყო ფინიშთან პირველი — სოხუმელი ვ. ზლობინი. ორივეჯერ მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ თბილისელები ვ. თოფურია და ვ. ჯანჯუგაზოვი.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში გოგონათა და ჭაბუკთა შორის, შესაბამისად გაიმარჯვეს ზ. ბაბენკომ და თ. ნონიაშვილმა.

რამდენიმეჯერ შეიცვალნენ ლიდერები 4×100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტის დროს. უკანასკნელ ეტაპზე თბილისელი ნ. კაჩანი პირველი იყო ფინიშთან და თანაგუნდელ ჭაბუკთა წარმატება დააგვირგვინა — 5.01,3. გამარჯვებულებს ერთი წამით ჩამორჩნენ აფხაზეთის წარმომადგენლები.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ნ. კაჩანი და ე. მაკეევა.

საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისელ მოცურავეთა გუნდი, მეორეზეა აფხაზეთის, მესამეზე — აჭარის სპორტსმენები.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

* * *

მაგიდის ჩოგბურთი

მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების ყურადღების ცენტრში იყო შარშანდელი ჩემპიონის — აჭარის გუნდისა და თბილისელ სპორტსმენთა შეხვედრა.

აჭარელმა ჭაბუკებმა: თ. რამაზაშვილმა, ვ. ოვაკინიანმა და ს. სარხოიანმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს. სტუმართა შტურმის შეჩერება წილად ხვდა ა. გიკაშვილს, რომელმაც დაამარცხა გ. დავითაძე და გარდატეხა შეიტანა თამაშში.

მალე სავერთო ანგარიში გათანაბრდა და გუნდის ხსნა ისევ ა. გიკაშვილს მოუხდა. მან გადამწყვეტ პარტიაში დაამარცხა საკმაოდ გამოცდილი ა. სარხოიანი და თბილისის გუნდს სპარტაკიადის ჩემპიონობა მოუპოვა.

აჭარელმა გოგონებმა თავისებური რევანში აიღეს თანაგუნდელ ჭაბუკთა დამარცხებისათვის და თბილისის ძლიერ გუნდს იმავე ანგარიშით — 5:4 მოუგეს. სტუმართა შორის თავისი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადებით შეუდარებელი იყო შარშანდელი ჩემპიონი ს. პარფინიდი.

დაიწყო მოსწავლეთა პირადი პირველობის გათამაშება.

ბ. სამანიშვილი

* * *

წყალში ხტომა

სამმეტრიანი ტრამპლინიდან წყალში მხტომელთა ფინალისაკენ მიმავალი გზა ძნელი გადასალახავი აღმოჩნდა ნორჩი სპორტსმენებისათვის.

შესარჩევ ხტომებზე გამოსული 13 გოგონადან 9 „გაცხრილულთა“ სიაში მოუვა და ფინალში გასვლის უფლება მხოლოდ 1-მეტრიან ტრამპლინზე გამარჯვებულმა სოხუმელმა დ. კინწურაშვილმა და თბილისელებმა: ვ. მარასალოვამ, ც. ლაცაბიძემ და ა. კალიაგინამ მოიპოვეს.

ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, დამთავრდა დ. კინწურაშვილის გამარჯვებით. მისი შედეგია 115,67 ქულა, მეორე ადგილზეა ა. კალიაგინა, ხოლო მესამეზე — ც. ლაცაბიძე.

ჭაბუკთა შორის მოწინააღმდეგეებზე მთელი თავით მაღლა იდგა სოხუმელი გ. მჩითარიანი, რომელმაც 108,13 ქულა დააგროვა და მეორე სახეობაშიც მოიპოვა მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონობა.

* * *

ნიჩბოსნობა

მოსწავლე ნიჩბოსანთა შეჯიბრებების ძველ კონკურენტებს — თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთისა და მცხეთის გუნდებს გამოუჩნდა ახალი მოწინააღმდეგეები რუსთავისა და დუშეთის ნიჩბოსანთა სახით, რაც თავისთავად სახიამოვნო ფაქტია და მეტყველებს იმაზე, რომ სპორტის ამ სახეობის მასშტაბი საგრძნობლად გაიზარდა. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ახალბედები არამარტო ძალებს ცდიდნენ, არამედ უტევდნენ კიდეც.

რუსთავის ნორჩმა ნიჩბოსნებმა უველას მოულოდნელად სავრთო პირველი გუნდური ადგილი დაიკავეს.

რუსთავის ნორჩმა ნიჩბოსნებმა პირად ჩათვლაშიც ისახელეს თავი, გოგონათა ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში 500 მეტრზე ს. ბანიკოვამ და ვ. ბავინამ 3,3 წამით აჯობეს მეორე ადგილზე გამოსულ ფოთის გუნდს — 2.37,2, ხოლო ჭაბუკებმა ბ. ბაციკაძემ და ვ. პროშინმა 3,1 წამით მიასწრეს ფინიშზე აჭარის გუნდს, რომელმაც მეორე ადგილი მოიპოვა.

სხვა გაცურვებში უძლიერესნი იყვნენ: ჭაბუკთა ერთადგილიანით 500 მ — აჭარის გუნდის წევრი მ. ფედოროვი, 1000 მ ორადგილიანით თბილისელი ჭაბუკები დ. თიბილაშვილი და ა. კუგაი. ამავე დისტანციაზე ერთადგილიანით შეჯიბრება მოიგო ვ. ეგოეინმა (აფხაზეთი), გოგონათა 500 მ დისტანციაზე შეჯიბრება დამთავრდა ფოთელ ს. ბაიდანოვის აშკარა უპირატესობით. ესტაფეტებში ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვეს თბილისის ნიჩბოსნებმა, ხოლო გოგონებს შორის გამარჯვება წილად ხვდათ ფოთელ სპორტსმენებს.

ბ. მამულოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

ხურათებზე: მარცხნივ — გოგონათა შორის 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში გამარჯვებული ი. ამნიაშვილი. მარჯვნივ — ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრების დროს.

საინტერესო დღეები

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკულტურის ინსტიტუტში ტარდება ფიზიკურზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სამთვიანი კურსები. ორთვეზე მეტია, რაც სხვადასხვა რაიონის 43 ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ვსწავლობთ იმ სიახლეებს, რაც მოხდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში უახლოესი წლების მანძილზე. ჩავტარდა მრავალი საინტერესო ლექცია-მოხსენება; კინოსურათებით ჯავეცანით უძლიერესი სპორტსმენების წვრთნის ტექნიკას.

მოვაწყვეთ ექსკურსია ქ. თბილისის № 77 საშუალო სკოლაში, სკოლის დირექტორმა გ. კობახიძემ გაგვაცნო სკოლის მუშაობა, ხოლო ამ სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ღლონტი გაგვესაუბრა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე. ვიყავით ტურისტულ სადგურში, დავათვალიერეთ სამრეწველო გამოფენა და ჩვენი დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

ყველაფერი ეს დიდად დაგვეხმარება ჩვენს მომავალ მუშაობაში.

ა. თოდრაძე



ბათუმელი სპორტის მოყვარული თ. ძიძიგური გვწერს: „ხშირად წამიკითხავს, რომ უცხოეთში კულტივირებულია სპორტის ახალი სახეობა — რბოლა როლერებით. მინახავს შეჯიბრების ფრაგმენტი კინოში. გთხოვთ განმიმარტოთ, როგორია სპორტის ეს ახალი სახეობა?

ყოველი ფურცელი

ფიზკულტურა

... ...!

როლერებით რბოლა, ანუ როგორც მას ეწოდება როლერ-დერბი, დიდად გავრცელებულია უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში. როლერ-დერბი მართლაც ახალი სახეობაა, ვინაიდან იგი გამოჩნდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ისევე, როგორც კალათბურთს, ჰყავს თავისი კონკრეტული გამომგონებელი — ლ. ზელტცერი.

როლერებით რბოლა ადრეც იყო გავრცელებული, მაგრამ მას ძირითადად გასართობის ხასიათი ჰქონდა, ლ. ზელტცერმა კი მას მისცა ჩამოყალიბებული სახე, შეადგინა წესები, რომელსაც საფუძვლად დაუდო ცნობილი „ექვსდღიანი ველორბოლის“ საფუძვლები. შეიძლება როლერ-დერბის არ მიეღო ასეთი დიდი გავრცელება, ვინაიდან მისი შეჯიბრებად გადაკეთება უნდოდათ ჩიკაგოში ჯერ კიდევ 1935 წელს, მაგრამ 1948 წელს ამ საკითხით დაინტერესდა ერთ-ერთი სატელევიზიო კომპანია და ლ. ზელტცერმაც საქმეს ფართო მასშტაბი მისცა.

როლერ-დერბი — ესაა გუნდური რბოლა გორგოლაჭებიანი ციგურებით. თვითეული გუნდის შემადგენლობაში გამოდის 10 სპორტსმენი — 5 ქალი და 5 ვაჟი, ქალები ქალების წინააღმდეგ, ხოლო ვაჟები — ვაჟების წინააღმდეგ.

რბოლა წარმოებს სპეციალურ ტრეკზე, რომელსაც აქვს თითქმის 30-გრადუსიანი დახრილობა და 8-10 მკვეთრი მოსახვევი. რბოლის არსი მდგომარეობს შემდეგში: გუნდის წევრების უმრავლესობამ უნდა გაასწროს მოწინააღმდეგეს და გადალახოს ფინიშის ხაზი, საამისოდ შედგენილია ქულების საგანგებო ცხრილი. სულ არის 8 ასეთი გარბოლი თვითეული 12 წუთის ხანგრძლივობით.

ბრძოლის დროს ნებადართულია მოწინააღმდეგეთა შეჩერება სხვადასხვა საშუალებებით (ხელის ჩავლება, ბლოკი და სხვ.), მაგრამ ის, რაც წესებითაა რეგლამენტირებული, შეიძლება ნაზ ალერსად ჩითვალოს, ვინაიდან როლერ-დერბის დროს სარბიელზე იმართება გააფთრებული ბრძოლა, რომლის დროსაც როლერისტები მიმართავენ ყველა საშუალებას და არ ერიდებიან საჯარიმო ქულების მიღებას. ამას თქვენ კარგად ხედავთ აქ მოთავსებულ სურათზე .

გაზეთ „ჰერალდ ტრიბუნი“ ასე ახასიათებს როლერ-დერბს: „ესაა ფეხბურთის ტაქტიკის, კრივის სასტიკისა და კანადური ჰოკეის სასწრაფის თავისებური სინთეზი“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს როლერ-დერბის ეროვნული ასოციაცია, სისტემატურად ეწყობა აშშ-ს ჩემპიონატები და მსოფლიო პირველობაც კი.

სურათზე: როლერ-დერბი „მედისონ-სკვერ-გარდენის“ სარბიელზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ქარელის რაიონის სოფ. ზღუდრის საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. ზარნაძე გვეკითხება, რას ნიშნავს ჭადრაკის თამაშში „დროს გადაცილა“, „ციტნოტი“, „ალამი ჩამოუვარდა“ და სხვ.

დაწყებული მესამეთანრიგოსანთა ტურნირებიდან წესად შემოღებულია თამაში საჭადრაკო საათებით. ერთ პარტიაზე თვითეულ მეტოქეს ეძლევა 2,5 საათი 40 სვლაზე, ე. ი. პარტიაზე მაქსიმუმ 5 საათი, ამ დროის ამოწურვის შემდეგ პარტია, როგორც წესი, გადაიდება ხოლმე.

იმ მომენტს, როცა მოჭადრაკეს აკლია დრო სავალდებულო სვლების გასაკეთებლად, მაგალითად, 10 სვლაზე ერთი წუთი, ეწოდება ციტნოტი, ხოლო თუ რომელიმემ ვერ მოასწრო 40 სვლის გაკეთება, მას საათზე ჩამოუვარდება ხოლმე ალამი, რომელიც სპეციალურ საჭადრაკო საათებს უკეთია. ასეთ შემთხვევაზე ამბობენ „ალამი ჩამოუვარდაო“ ან „დროს გადაცილა“.

ბათუმელი სტუდენტი ნ. მიქაძე გვეკითხება, როგორი წარმატებები აქვს პატარა ტაშკენტელ მოჭადრაკეს ე. კიმს, რომელმაც 5 წლის ასაკში უდიდესი საჭადრაკო ნიჭი გამოავლინა?

ამჟამად პატარა ე. კიმი განაგრძობს ჭადრაკის თამაშს, მაგრამ მ. ბოტვინიკის რჩევით გარკვეული თანმიმდევრობით. ბავშვის ყურადღება ძირითადად მიმართულია სკოლაში სწავლისადმი, სადაც იგი მეორე კლასშია.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ჯ. გრიგოლიას, ნ. ცომაიას, ი. ედილაშვილს, ბ. ჩიგოგიძესა და რ. საკევარაშვილს აინტერესებთ, „ბ“ კლასის საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის წინასწარი თამაშების დამთავრების შემდეგ რა წესით ეთვლებათ გუნდებს ქულები ფინალურ ჯგუფში?

თვითეულ გუნდს ეწერება ქულათა რაოდენობა მთლიანად, რაც მან დააგროვა ქვეჯგუფში. გუნდები, რომლებიც ერთმანეთს უკვე შეხვდნენ ქვეჯგუფში, განმეორებით აღარ თამაშობენ.

სპორტსმენებმა. ფინალში ვაჟთა შორის ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონატში გამარჯვებული იტალიელი ნიკოლა პეტრანჯელი და მანუელ სანტანა (ესპანეთი). უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა სანტანამ. ქალთა შორის ანა ჰაიდონმა (ინგლისი) ფინალში იოლად სძლია მექსიკელ ბოლანდა სამირეცს.

ლონდონი. როგორც ინგლისის ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა ჯო რიჩარდსმა კორესპონდენტებს განუცხადა, ინტერესი ინგლისში ფეხბურთისადმი საგრძნობლად შემცირდა. თუ 1959-60 წლების სეზონში ოთხი ათეულუნარიანი ტიმის მაჩვენებელი მასწარეოდა 28 მილიონ მაყურებელს, იმავეად ეს მაჩვენებელი 14 მილიონამდე შემცირდა. ასევე აღნიშნა ლიგის პრეზიდენტი ტელევიზიის სწრაფი გავრცელებით ხსნის.

მიუნსიენი. დამთავრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატი ჰოკეიში. პირველ ადგილზე გამოვიდა „ბერლინერ ჰოკეი კლუბი“, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო (3:1) შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებულ „მიუნჰაიმსს“.

რედაქტორი ი. უგულავა.

24 ივნისი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (სტალინო)

ძირითადი შემადგენლობა

დასაწყისი 6 ს. 30 წ.

22-23 ივნისი

საქცხიკეთერტრესტის საცურაო აუზი (ორთაჭალა)

საერთაშორისო შეხვედრა



„ტული“ (ფინეთი)-„განთიადი“ (საქართველო)

დასაწყისი 18 ს.

22-25 ივნისი

სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე მოეწყობა ფიგურულ სრიალში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრთა საჩვენებელი გამოსვლები.

დასაწყისი 20 ს.

რატომ ვამბობთ?

„სტადიონი“

ძველ საბერძნეთში პირველ ოლიმპიურ თამაშებში მთავარი ადგილი ეჭირა რბენას. იგი ტარდებოდა სწორ ბილიკზე, რომლის სიგრძე ერთ სტადიას იყო. იგი უტოლდებოდა იმ ქალაქის ქუჩის 600-ჯერ გადათვლილ ფეხის ტერფის ზომას, (დაახლოებით 176-192 მეტრი).

„დისტანცია“

დისტანცია ეწოდება მანძილს სტარტიდან ფინიშამდე, რაც აღინიშნება მეტრებში ან კილომეტრებში; მანძილს სპორტსმენის ადგილსამყოფელიდან მიზნამდე, რომელსაც მან უნდა მოახვედროს; მანძილს მონაწილეთა შორის — კრივში ან ფარიკაობაში შეჯიბრების დროს.

„ტრასა“

ლათინურ ენაში „ტრასა“ აღნიშნავს ზოლს, კვალს. ეს არის მოძრაობის მიმართულების აღმნიშვნელი ხაზი.

„სამბო“

ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში ტანსაცმლით ჭიდაობა (ისე, როგორც ჩვენში ჩოხებით ჭიდაობა) სპორტის ერთ-ერთ უძველეს სახეობას განეკუთვნება. ფეხის გამოკვრის, გდებების, დაცვისა და თავდაცვის სხვა ხერხების გამოყენების საშუალებით (იარაღის გარეშე) უნდა უვნებელყო, განაიარაღო მოწინააღმდეგე, აიძულო დაგნებდეს ე. ი. უნდა დაა მარცხო, წააქციო.

საბჭოთა კავშირში ძრავალ ეროვნებას გააჩნია ჭიდაობის ნაციონალური სახეობა — ტანსაცმლით ჭიდაობა. 30-იან წლებში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ა. ხარლამპიევმა შეაგროვა და სისტემატიზაციაში მოიყვანა ყველაზე მეტად საჭირო ხერხები, ასე შეიქმნა ჭიდაობა სამბო. სსრ კავშირში პირველობა სამბოში 1939 წლიდან ტარდება.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით. შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-59-62, პასუხისმგებელი მდივნის — 3-90-34, განყოფილებების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЦ 03973